ბიზნესის განწყობის ინდექსი

1.3
შემცირდა

განწყობების გაუარესება გრძელდება

II კვ 2024

კვლევაში მონაწილე კომპანიები

მსხვილი	მცირე და საშუალო
30	96

კვლევის ძირითადი შედეგები



- 2024 წლის II კვარტლისთვის ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) 1.3 პუნქტით შემცირდა და 16.4-ს გაუტოლდა. ბიზნესის განწყობის ყველაზე დიდი გაუარესება ვაჭრობის (-7.4) სექტორში დაფიქსირდა. BCI-ის უარყოფითი ცვლილება გაუარესებულმა მიმდინარე მდგომარეობამ და ნაკლებად პოზიტიურმა მოლოდინებმა განაპირობა.

- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც კომპანიების მიერ გასული კვარტლის განმავლობაში საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას ეყრდნობა, 2024 წლის I კვარტალთან შედარებით 8.8 პუნქტით შემცირდა და 2024 წლის II კვარტლისთვის 9.2-ს გაუტოლდა. მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე დიდი გაუარესება მომსახურების (-16.7) და ვაჭრობის (-16.1) სექტორებში დაფიქსირდა.

- ბიზნესის მოლოდინების ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად ოპტიმისტურად არის განწყობილი ბიზნეს სექტორი მომავლის მიმართ, 29.6 პუნქტამდე შემცირდა. 2024 წლის II კვარტლისთვის მოლოდინების საგრძნობი შემცირება დაფიქსირდა საფინანსო (-57.1) და ვაჭრობის (-11.2) სექტორებში.

- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი მცირედით, 1.2-ით გაიზარდა და 19.6 პუნქტს მიაღწია. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ ბიზნესების წილი, რომელიც მომდევნო სამ თვეში ვარაუდობს ფასის მატებას საკუთარ პროდუქტზე, მცირედით გაიზარდა.

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] სკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპონდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

ISET International School of Economics at TSU Policy Institute
bia Business Information Agency
ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE
CCI FRANÇAISE EN GEORGIE
GSMEA

ბიზნესის განწყობის ინდექსი

მცირე და საშუალო

კვ II/24	ცვლილება
7.5 ▼	-7.0

მსხვილი



კვ II/24	ცვლილება
39.4 ▲	11.2

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით

სექტორი	კვ II/24	ცვლილება
მრეწველობა	-1.4 ▲	0.8
მშენებლობა	12.5 ▲	9.4
ვაჭრობა	17.2 ▼	-7.4
მომსახურება	24.0 ▼	-3.7
სოფლის მეურნეობა	14.0 ▲	11.8
საფინანსო სექტორი	15.6 ▼	-5.6
სხვა	12.7 ▼	-5.7

2024 წლის II კვარტლისთვის, მსხვილი ბიზნესებისთვის მთავარ გამოწვევას კვალიფიციური სამუშაო ძალის სიმცირე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. რაც შეეხება მცირე და საშუალო კომპანიებს, მათთვის საქმიანობის მთავარი შემზღუდველი ფაქტორები ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და მოთხოვნის სიმცირეა.

ბიზნეს საქმიანობის შემზღუდველი ფაქტორები
II კვარტალი, 2024 წელი



ISET International School of Economics at TSU Policy Institute
bia Business Information Agency
ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE
CCI FRANÇAISE EN GEORGIE
GSMEA